# ჰიგიენის, სამედიცინო ეკოლოგიისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის დეპარტამენტი



პროფესორი ნინო ვეფხვაძე
დეპარტამენტის ხელმძღვანელი



ასოცირებული პროფესორი ნინო კილაძე



ასოცირებული პროფესორი მარინა გიორგობიანი



ასოცირებული პროფესორი ნანა ცხოვრებაძე



ასოცირებული პროფესორი თეა ქოჩორაძე - მარღიშვილი



ასოცირებული პროფესორი ივანე კუგოტი



ასოცირებული პროფესორი მანანა ხორბალაძე



ასისტენტ-პროფესორი ირმა ცხოვრებაძე

ჰიგიენისა და სამედიცინო ეკოლოგიის დეპარტამენტი ჩამოყალიბდა პრევენციული მედიცინის კათედრის ბაზაზე. ამ მიმართულების პირველი კათედრა შეიქმნა 1920 წელს სახელწოდებით „ზოგადი ჰიგიენის კათედრა ეპიდემიოლოგიით“. კათედრის პირველი გამგე 1927 წლამდე იყო პროფესორი სვიმონ ამირეჯიბი. სხავადასხვა დროს კათედრას განაგებდნენ ცნობილი მეცნიერები: სსრკ მედიცინის მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. გიორგი ნათაძე, პროფ. ვასილ კაციტაძე, პროფ. გივი კვანჭახაძე. 1996 წლიდან დეპარტამენტს ხელმძღვანელობს პროფ. ნინო ვეფხვაძე. 1996 წლიდან დეპარტანენტს ეწოდა პრევენციული მედიცინის კათედრა, ხოლო 2006 წელს - პრევენციული მედიცინის (ჯანმრთელობის ხელშეწყობის) დეპარტამენტი. 2009 წელს შეიქმნა ორი დეპარტამენტი: ჰიგიენისა და სამედიცინო ეკოლოგიის დეპარტამენტი და ჯანმრთელობის ხელშეწყობის დეპარტამენტი. დეპარტამენტის სამეცნიერო მუშაობის ძირითად მიმართულებას 1996 წლიდან წარმოადგენს საქართველოს რადიოეკოლოგიური სიტუაციის შესწავლა, მოსახლეობის დასხივების დოზების დადგენა და მათი ჰიგიენური შეფასება მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზეგავლენის თვალსაზრისით.

2024 წელს დეპარტამენტში განხორციელდა რეორგანიზაცია და ჩამოყალიბდა ჰიგიენის, სამედიცინო ეკოლოგიისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის დეპარტამენტის სახელწოდებით.